№ 2713
ხუთშაბათი,
30 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2713
ხუთშაბათი,
30 დეკემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.

საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ წელიწადი მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან.
ცალკე №—1 მან.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან.
ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ უფასოდ გაეგზავნება ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ჟიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ **ჟაზეტის ნაწერების ფორმატისას**

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ოცდა შვიდს დეკემბერს გარდაიცვალა

თავადი ლევან გრიგოლის ძე წერეთელი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი **დედა, მეუღლე, შვილები და დები**, რათა სცენ მათ პატივი და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას, რომელიც იქნება პარასკევს, 31 დეკემბერს, დილის 10 საათზე **დაბა საჩხერეში**. (1—430—1)

ელენე იოსების ასული, და ივანე გედევანის ძე გომართლები გულითად მადლობას სწირავენ ყველა თავის ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, ვინც პირადად თუ წერილით ანუგეშა ისინი თავისი ძვირფასი **გოგის** უდროოდ დაკარგვისა გამო. (ნ. 1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

მ. ზ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ქირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ბ. ბ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპე- ა სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ხ. ლავილოვი.—შინაგანი და ბავშვებისა დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ეოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში კიები მორიგებით. კრავატები დღეში სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დივნისა № 12. „კრუჟოკის“ გვერდით. (—6.—12)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
კორლანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მალალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—11)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—30)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—20)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

კბილებს
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—3)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—4).

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—$6^1/_2$ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავათმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—9)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, გენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—10)

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
28 დეკემბერი

პორტ-არტური, 27 დეკემბერი („რეიტ. საag.“). პორტ-არტურთან მყოფ იაპონიის ჯარიდან იტყობინებიან, რომ პორტ-არტურში გაიგზავნა მთავარ-შტაბის კაპიტანი ცუნოდა სტესელისათვის მიკადოს დეპეშის გადასაცემად, სადაც ეწერა, რომ გარნიზონს უდიდესის ყურადღებით მოეპყრობიან. კაპიტან ცუნოდას მიანდეს აგრეთვე გადაეცა ნოგის წინადადება პირადად შეხვედრის შესახებ. ცუნოდამ მიუტანა სტესელს ქათმები და ღვინო. სტესელმა მადლობით მიიღო საჩუქარი და შემდეგ ორი საათი ესაუბრა კაპიტან ცუნოდას. საუბრის დროს სტესელს პირველად ყოვლისა უკითხავს, კუროპატკინი სად არისო. ცუნოდას უპასუხნია, რომ ნამდვილი ცნობები არა აქვს ამის შესახებ, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, კუროპატკინი მუკდენის ახლო უნდა იყოსო. სტესელს უთქვამს, 29 ოქტომბრიდან ცნობა არ მომსვლიაო. შემდეგ დაუმატებია—თვითონ ვაგზავნიდი ჩინელ ჯაშუშებს, რომელნიც დაბრუნებისას მეუბნებოდნენ, რუსის ჯარი, ციხის დასახსნელად გამოგზავნილი, ცინჩოუშია, პორტ-არტურიდან 20 მილის მანძილზეო. როგორცა სჩანს, სტესელმა დაიჯერა ცუნოდას სიტყვები, რომ კუროპატკინი დაამარცხეს და მუკდენისაკენ განდევნესო. ცუნოდამ უჩვენა სტესელს რუქაზე ორივე ჯარის მდგომარეობა შახეზე. სტესელი გაკვირვებულა და შემდეგ უკითხავს, სად არის ბალტიის ესკადრაო; როცა შეუტყვია, რომ ამ ესკადრის ზოგ გემს ჯერაც არ შემოუვლია „კეთილ იმედი“-ს კონცხისათვისო, სტესელს უთქვამს მწუხარედ: „ეხლა პორტ-არტურის დაცემის შემდეგ, ესკადრის გამოგზავნას აზრი აღარ აქვს“ და ბოლოს დაუმატებია—ჩემის აზრით, უფლება უნდა მქონდეს, რუსეთში დავბრუნდე: ჩემი ასაკი ნებას მაძლევს ვისურვო ოჯახურ ცხოვრებით სარგებლობა. სტესელს თან მიჰყავს ხუთი ობოლი, მოკლულ აფიცრების შვილები.

ჩიფუ, 27 დეკემბერი („რეიტერი“). გუშინ, როდესაც აქაური იაპონელები პორტ-არტურის აღებას დღესასწაულობდნენ, წარმოდგენის დროს, იაპონიის კონსულისაგან რაღაც საშიში ამბავი მოვიდა, რამაც მხიარულება შესწყვიტა. ხმა დადის, ვითომ კონსულს ეშინოდეს ჩინელებთან შეტაკებისა. სხვა ცნობებით, ამბავი მოსულა პორტ-არტურში ნაღმის აფეთქების შესახებ, რომელსაც დიდი ვნება უნდა მოეტანოს.

შანხაი, („რეიტერი“). ჩინეთის მთავრობა სცდილობს დაუწესოს ჩინეთში მცხოვრებ რუსებს ნამდვილი ზედამხედველობა.

ლონდონი. ნოგის ჯარში მყოფი „რეიტერის სააგენტო“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება 24 დეკემბერს: „დღეს 5000 რუსის სალდათი პორტ-არტურიდან წავიდა შანლიძუსა და სოფელ იაკუძუეში, მტრედის ბუხტის მახლობლად. პირველი რაზმი, 1000 კაცისაგან შემდგარი, მოვიდა ამ სოფელში სამ საათზე; სხვებიც ამათ მოჰყვნენ. თვითო რაზმს ახლავს ექვსი დატვირთული ფურგუნი. შემდეგ რუსის ეს ჯარი იაპონელებმა დალნში გაჰგზავნეს განსაკუთრებულის მატარებლებით, რომელსაც ღია ვაგონები ჰქონდათ. დალნში ტყვეებს ღამე ტრანსპორტებზე დასხამენ და იაპონიაში გადაიყვანენ. შანლიძუში ოთხის ნავით პირველნი მოვიდნენ შტაბის აფიცრები. არც ერთმა არ მოისურვა გასანთავისუფლებელ სიტყვის მიცემა. აფიცრებს ხმლები ერტყათ. შემდეგ გაიარეს სხვა აფიცრებმა; ყველა თავის რაზმთან იყო. სახეზე ეტყობოდათ დაღლილობა და აღელვება. ისინი ბრაზით უყურებდნენ იაპონელებს, რომელნიც შეიკრიბნენ და ცნობის-მოყვარეობით უყურებდნენ ტყვეებს. რუსის სალდათები კარგად გამოიყურებიან, თუმცა დაღლილობა იმათაც ეტყობათ. აფიცრებს კარგად აცვიათ, სალდათები კი ჭუჭყიან მოკლე ტყავებში არიან. იაპონელები კეთილის გულით და პატივისცემით ეპყრობიან რუს ტყვეებს: სთავაზობენ პაპიროსებს, ლუდს და შველიან ბარგის წაღებას.—რკინის გზის ლიანდაგი იაპონელებმა თითქმის პორტ-არტურამდე შესცვალეს და წინანდელ, განიერ ლიანდაგის ნაცვლად ვიწრო გამართეს. ტელეგრაფი რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყებს მუშაობას. იაპონელი ინჟენერები იკვლევენ იმას, თუ რამდენად დაზიანებულია აღმოსავლეთის ფორტები.

ალექსანდრია, („რეიტერი“). ადმირალ დობროტვორსკის ესკადრას (წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის მესამე რაზმია) პორტ-საიდში დილის 4 საათზე ელიან. განკარგულება ესკადრის არხში გავლის შესახებ ჯერ არ შეუტყობინებიათ. იაპონიის მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ რუსის გემებს სურსათს აძლევენ. არხში გავლის დროს რუსის ესკადრას დარაჯები დაიცავენ.

ტოკიო, („რეიტერი“). საზღვაო სამინისტრომ სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ ინგლისის კრეისერი „ანდრომედა“ სურსათით პორტ-არტურისათვის შეცდომით უკან დაებრუნებინათ. სამინისტრო აცხადებს, რომ იაპონელმა კომენდანტმა დახმარებაზე უარი საზოგადო წესის თანახმად განაცხადაო. რამწამს ვეიხაივეიდან მოხსენება მიიღეს, რომ „ანდრომედა“ უკან დააბრუნესო, იაპონიის მთავრობამ მაშინვე შეუთვალა, დახმარებას დიდის მადლობით მივიღებთო, მაგრამ ეს ბძანება რომ პორტ-არტურში მიიღეს, „ანდრომედა“ იქ აღარ იყო.

ბერლინი, 28 დეკემბერი. საიმპერიო ბანკმა დისკონტი 4%-მდე დასწია, გირაოთი გაცემულ სესხის სარგებელი 5%-მდე.

პარიზი, 28 დეკემბერი. „ეკო დე პარი“-ში დაიბეჭდა ფორმოზას გუბერნატორის კოდამას კონფიდენციალური მოხსენება, 1902 წლის თარიღით. მოხსენებაში ნათქვამია, სანამ ინდო-ჩინეთის დაპყრობას შევუდგებოდეთ, ჯერ რუსეთს უნდა ვეომოთო. ამნაირად ირკვევა, რომ იაპონია დიდებულ ბრძოლისათვის ემზადებოდა მთელის ღ. სავლეთის წინააღმდეგ.

ტოკიო, 28 დეკემბერი („რეიტერი“). ნოგიმ გაგზავნა დამატებითი ცნობები რუსის ტყვეების შესახებ. ტყვედ არიან წაყვანილნი გენერლები—ნიკიტინი და ბელი და ადმირალი ვირენი. გენერალ-ლეიტენანტის სტესელის გარდა, პირობა მისცეს არ ეომონ იაპონელებს გენერლებმა—რეისმა, ნადეინმა და კოსტენკომ, ადმირალებმა—თავადმა უხტომსკიმ, გრიგოროვიჩმა და როშჩინსკიმ და მთავარ ინჟინერმა რინბეკმა.

ნაგასაკი, 28 დეკემბერი („რეიტერი“). მოვიდა ტრანსპორტი „ტოზამარუ“ რუსის 28 აფიცრითა და ათასი სალდათით. აფიცრები ნაგასაკს გადმოსხეს, სალდათები-კი კოკურას გაჰგზავნეს.

ტოკიო, 28 დეკემბერი („რეიტერი“). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ აქაურის აფეთქებულია 395 ნაღმი. რუსის საავადმყოფოებში იპოვეს 10 ცოცხლად გადარჩენილი იაპონელი იმ რიცხვთაგანი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბრანდერების (გემების) ექსპედიციაში პორტ-არტურის ნავთსადგურის შესაკვრელად.

პორტ-საიდი, 28 დეკემბერი („რეიტ.“). ნაშუადღევს 1 საათსა და 50 წუთზე გამოჩნდა ჰორიზონტზე დობროტვორსკის ესკადრა.

პარიზი, 28 დეკემბერი („ჰავასი“). დღეს დილის 10—12 საათამდის ბჭობდნენ გულის შემთხვევის გამომძიებელ კომისიის წევრები. არკვევდნენ მუშაობის წეს-რიგს. შემდეგი სხდომა ხვალ 2 საათზე მოხდება.

სან-ფრანცისკო, 28 დეკემბერი („რეიტერი“). დღეს ჰგზავნიან იაპონიაში გემ „ჩაიანა“-თი $2^1/2$ მილიონ დოლარ-ს ოქროს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
28 დეკემბერი

ხუანშანი, 28 დეკემბერი. 25 დეკემბერს მოხალისეთ განგუალინის უღელტეხილზე შეტაკება მოუვიდათ იაპონელებთან; სამი იაპონელი დაატყვევეს და ოთხი გვამი წამოიღეს. ჩვენ ერთი კაცი მოგვიკლეს და ერთი დაგვიჭრეს. 26 დეკემბერს ღამით 20 იაპონელმა ჩვენ დარაჯების წრეში გამოიარა და სოფელ ტაჩენსიატუნს მოეპარა, მაგრამ ჩვენმა მოხალისეებმა გარს მოუარეს და იაპონელები გააქციეს. 26 დეკემბერს იაპონელებმა ზარბაზანი დაუშინეს პუტილოვისა და ნოვგოროდის გორებს და ორ ზურგიან გორის აღმოსავლეთით მდებარე პოზიციებს. ჩვენმა არტილერიამ იმავ დღეს ზარბაზანი დაუშინა სოფელ სინლუნტუნს, იაპონელების ნამუშევარს ორ ზურგიან გორაზე და იაპონელთა რაზმებს სოფელ სასიტუნს ახლო ტყეში.

ჩანსიამუტუნი, 27 დეკემბერი. აქ მოიყვანეს 4 იაპონელი დრაგუნი, რომლებიც ჩვენმა დარაჯებმა დაატყვევეს მარჯვენა ფრთაზე. როგორც ყველა იაპონელი კავალერისტი, ესენი ბევრად უფრო განვითარებულნი არიან, ვიდრე იაპონიის ქვეითა ჯარის სალდათები, რომლებიც შეადგენენ ტყვეების უდიდეს ნაწილს. ეს კავალერისტები მაღალი ტანისა და ლამაზები არიან; ლამაზი და თბილი ტანისამოსი აცვიათ. მათ შორის ერთი ეფრეიტორია, სკოლის მასწავლებლად ნამყოფი; იგი ინგლისურად ლაპარაკობს და საშუალო სასწავლებელში აქვს განათლება მიღებული. ტყვეები ხალისიანად მუსაიფობენ, კმაყოფილნი არიან ჩვენი აფიცრებისა და სალდათების ქცევით. ისინი თითქმის დაემორჩილნენ თავის ხვედრს და სცდილობენ დაიმახსოვრონ რუსული სიტყვები. იმათ გარდა სადარაჯო რიზში ერთი აფიცერი და ერთი სალდათი იყო, რომლებიც შეტაკების დროს მოჰკლეს. უმცროსი ტყვე, როგორც ეტყობა, ძლიერ სწუხს თავის ამხანაგ აფიცრის დაკარგვას. ჩვენების ჩამორთმევის დროს მან სთხოვა დამსწრეთ გადასცენ ამ აფიცრის მშობლებს მათი მოკლული შვილის სისხლში ამოსვრილი ქაღალდის ნაჭერი და ამნაირად აასრულონ სარწმუნოებრივი ჩვეულება. ტყვეები სალდათების მიწურში იდგნენ დარაჯების ზედამხედველობის ქვეშ და მეგობრულად ემუსაიფებოდნენ, ჩინელი თარჯიმანის შემწეობით, ჩვენ სალდათებს, და ერთმანეთს უზიარებდნენ სამხედრო და სამშვიდობო დროის შთაბეჭდილებათ. სალდათები სიამოვნებით უთმობდნენ მათ თავის შაქარს, თეთრ პურს და საუკეთესო ადგილს მიწურში დასაძინებლად.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

„პორტ-არტურის აღების შემდეგ“. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. დაწვრილებითა ჰხსნის, რა მნიშვნელობა აქვს პორტ-არტურის აღებას და რა გავლენას იქონიებს ეს ამბავი მომავალ სამხედრო მოქმედების ვითარებაზე. ბ. ს. კ. სწერს:

„1904 წლის 20 დეკემბერი, ის დღე, რა დღესაც გენ. სტესელის რწმუნებულებმა პორტ-არტურის კაპიტულიაციაზე (დამორჩილებაზე) ხელი მოაწერეს, სამუდამოდ მოსაგონებელი იქნება ისტორიაში, რუსეთის მუდმივ ჯარის შემქმნელის პეტრე დიდის აქეთ რუსეთის იარაღი ასე ძლიერ არას დროს არ დამარცხებულა, როგორც ეხლა, 20 დეკემბერს დამარცხდა. მართალია რუსეთის არმიამ აუსტერლიცთან დიდი

ეროვნული

დამარცხება გამოიარა (1805 წ. ნაპოლეონი I აუსტერლიცთან ძალზე დაამარცხა რუსის არმია), სევასტოპოლი დაჰკარგა, პლევნასთანაც შავი უბედური დღეები გამოიარა, მაგრამ ნარვის (ნარვასთან 1703 წ. შვედებმა ძალზე დაამარცხეს პეტრე დიდის ჯარი და ნარვა აიღეს) აღარც ერთი რუსის ციხე არ დაჰმორჩილებია მტერსა, თუ მეორე ხარისხოვან სიმაგრეებს არ ვიანგარიშებთ, რომლებსაც რამდენიმე ასი ანუ ათასი კაცი იცავდა ხოლმე. სევასტოპოლი არ დაჰმორჩილებია მტერსა; შტურმით იყო აღებული, იქაური მეციხოვნე ჯარი ტყვედ არ დაჰნებდა, ჩრდილოეთ მხარეს დაიხია და დანარჩენ რუსის არმიას შეუერთდა. რუსის ხმელეთის ჯარმა ნება არ მისცა მოკავშირეთ (საფრანგეთისა და ინგლისის ჯარს) სევასტოპოლისათვის ყველა მხრიდან გზა მოეჭრათ და ასეთი საპატიო შედეგიც ამიტომ ჰქონდა სევასტოპოლის ალყას. პორტ-არტური-კი ღვთის ანაბარობაზე იყო მიტოვებული. რუსეთის ბურჯის გმირი დამცველები საუკუნო დიდებით შეიმოსნენ, ისეთი საქმე შეიძლეს, რაც მთელს ქვეყნიერობას შეუძლებლად მიაჩნდა და $3^1/_2$ თვე მეტი გამაგრდნენ იმაზე, რაც მოეთხოვებოდათ, მაგრამ მით უფრო თავზარდამცემი იყო დამარცხება. პორტ-არტურის დაცემა უბრალო ციხის დაცემა როდი იყო... 1903 წელს ოქტომბერში, როცა ომი მოტანებული იყო, პორტ-არტურში ნადიმზე ოფიციალურად გამოაცხადეს, პორტ-არტურის ციხე მიუვალიაო და აი ამ მიუვალ ციხის კედლებში მთელი არმია—50 ათასი კაცი გასწყდა. 1 მაისისათვის, როცა იაპონელებმა კვანტუნის სიმაგრეებს წრე შემოავლეს, გენ. სტესელს 37 ათასი კაცი მეციხოვნე ჯარი ჰყავდა, 11 ათასი მეზღვაური კონტრ-ადმირალ ვიტგეფთისა და 2 ათას კაცზე არა ნაკლები კერძო მცხოვრებლების რაზმები, სულ 50 ათასამდე სალდათი და 2 ათასამდე აფიცერი ჰყავდა. კვანტუნის არმიის (გენ. სტესელის არმიას) არტილერიას დაახლოვებით 1400 ზარბაზანი ჰქონდა, ამათ შორის 520 საციხე ზარბაზანი (აქედან 420 პორტ-არტურში, 60 ცინჩოუში და 40-ზე არა ნაკლები სხვა წინა პოზიციებზე) 80 საველე ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი და 800 ზარბაზანი სხვა-და-სხვა ყალიბისა ესკადრის 50 გემზე. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ კვანტუნის ნახევარ-კუნძულის დასაცველად 100-ზე მეტი მკვიდრი და სანახევროდ მკვიდრი ფორტი და ბატარეია იყო გამართული, მაშინ ცხადად დავინახავთ, რა დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს გენ. ნოგის გამარჯვებას. ეს მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ პორტ-არტურის აღების აზრი არა თუ მარტო მეომართა არმიების სალდათებს, თვით რუსეთისა, ჩინეთისა და იაპონიის მრავალ მილიონ მცხოვრებელს ესმით აუხსნელადა და განუმარტებლად. ადრე ხმელეთზე ბრძოლის დროს, პოზიციების დაკარგვას სტრატეგიულ პლანით ჰხსნიდნენ, ვითომ რუსის ჯარი ამ პლანის თანახმად იხევს უკანაო (ნამდვილად-კი გენ. კუროპატკინმა ექვსჯერ გაილაშქრა წინა იერიშის მისატანად); ზარბაზნების დაკარგვას იმითა ჰხსნიდნენ, რომ ეხლანდელ ბრძოლის დროს არტილერია ქვევითა ჯარის წინა დგას, ქვევითა ჯარს უკან დახევის დროს ეხმარება და თავის თავს მსხვერპლად სწირავსო (ნამდვილად-კი, როგორც რუსულ გაზეთების ომის ასპარეზიდან მიღებულ ურიცხვ კორესპონდენციიდან სჩანს, ქვევითა ჯარი ეხლაც არტილერიის წინა დგას და არტილერიას იცავს). ყველა ამას უმატებდნენ, იაპონიის არმიას აუარებელი ზარალი მოსდისო, ყოველ ნაბიჯზე იაპონელებს ათი-ათასობით უკლავდნენ და უჭრიდნენ სალდათებს, თან ირწმუნებოდნენ, ომის პირველ პერიოდის დროს რუსის არმია სადავო ადგილების დაჭერას-კი არა, მხოლოდ იმასა ცდილობდა, რომ იაპონელებისათვის, რაც შეიძლება, მეტი ჯარი დაეხოცაო. ისე გამოჰყავდათ, ვითომ საქმე ყველაფერში კარგად მიდიოდა, ყველაფერი სამხედრო პლანის თანახმად სრულდებოდა და ბოლოს იაპონიის 50 მილიონი ხალხი სრულიად ისპობოდა და რუსეთი უცილობელ ბატონობას იმკვიდრებდა წყნარ ოკეანის ნაპირებზე, ესე იგი რუსეთი არა თუ მარტო იაპონიას, ინგლისსა და ამერიკასაც ამარცხებდა, რადგან ეს ორი სახელმწიფოც გუშინდლიდან როდი ითვლებიან დიდ სახელმწიფოებად წყნარ ოკეანის ნაპირებზე. ომი ბოლოს ასეთის დიდებით უნდა დასრულებულიყო და რუსეთისათვის ყველა ის დარდი, მარცხი და საზარელი ამბები უნდა გაექარწყლებინა, რაც 11 თვის განმავლობაში გამოიარა. აქ მხოლოდ ცოტა რამ ავიწყდებოდათ, სახელდობრ ისა, რომ რაც უნდა მრისხანე და მრავალი ჯარი იყოს, არა თუ წყნარ ოკეანის დაჭერას, სადაც ამომავალ მზის ქვეყნისა და იმის მოკავშირე ინგლისის ძლევა მოსილი ბაირაღები და ამერიკის დიდებულ რესპუბლიკის ვარსკვლავიანი ბაირაღი ფრიალებენ, ზღვის ნაპირის დაჭერასაც ვერ მოახერხებს დიდ მანძილზე. რასაკვირველია, რუსულ ოფიციალურ ცნობებს ვერ დავდებთ ბრალს, რომ განზრახ ასეთი ცრუ ამბები ევრცელებინოთ; ოფიციალური ცნობები ომის ასპარეზიდან უმეტეს ნაწილად უბრალო ფაქტებს გვაწვდიდნენ განუმარტებლად და თუ როდისმე საეჭვო ხმებს გადმოგვცემდნენ, იქვე აღნიშნავდნენ იმ წყაროს, საიდანაც ჰქონდათ მიღებული ეს ცნობა. მაგრამ მით უფრო დიდი ბრალი ედება ცრუ პატრიოტულ პრესასა და იმ წრეებს, რომლებიც ჰთხზავდნენ და ერთგულად ავრცელებდნენ ლეგენდას (არაკი) ომის კეთილ დასასრულზე. ეს ლეგენდა უმთავრესად პორტ-არტურის ტყუილ ამბებით იკვებებოდა; ეხლა, როცა პორტ-არტური დაეცა, დროა ეს ხალხის დამაძინებელი ლეგენდაც გაჰქრეს, დროა ყველამ შეიგნოს, რომ მძიმე მდგომარეობას არმიის გმირობის ქებით ვერ დაჰფარვენ; არმიასაც გრძნობიერი ტკბილი ქება-კი არა, მტერთან ბრძოლის იარაღი და თავის არსებობისათვის საჭირო საშუალება უნდა, მეგაზეთეების სტრატეგიის გამარჯვება ნამდვილ გამარჯვების ადგილს ვერ დაიჭერს.

სამწუხაროდ, რუსულ პრესაში ზოგი ეხლაც სრულ კმაყოფილებას აცხადებს პორტ-არტურის დაცემისა გამო და ამბობს, პორტ-არტურმა სრულიად შეასრულა თავისი დანიშნულება, პორტ-არტურის დაცემა თითქმის ცრუ პატრიოტულ პრესის მიერ შეთხზულ სამხედრო პლანის თანახმად მოხდაო; მუხთარ-ფაშის ავტორიტეტსაც-კი იმოწმებენ და იმის აზრს იხსენიებენ 1877 წელს არტაანის აღების თაობაზე ნათქვამს, მაგრამ პირველ ხარისხოვან ციხეებს, რაღა თქმა უნდა იმისთვის როდი აშენებენ, რომ ეს ციხეები გინდ რვა თვის ალყის შემდეგ მტერმა აიღოს; ეს როლი საზღვარზე შენებულ პატარა ციხეებმა უნდა შეასრულონ (არტაანიც ასეთი ციხე იყო) და არა ისეთ სტრატეგიულ მნიშვნელობის ციხეებმა, როგორიცაა პორტ-არტური. პორტ-არტური იმისთვის როდი ააშენეს, რომ დრო მოეგოთ მუკდენთან ძლიერის არმიის შესაკრებად; ამისათვის კი არა, მანჯურიასა და ყვითელ ზღვაზე რუსეთის ბატონობის დასამკვიდრებლად ააშენეს. დროს მოსაგებად სიმაგრეები კვანტუნზე-კი არა, მანჯურიიდან კორეიაში მიმავალ გზებზე უნდა აეშენებინათ, სადაც იაპონიის არმიას ხმელეთზე გადმოსვლა შეეძლო, ესე იგი მდინარე იალუსა და ფენშუილინის სიმაღლეებზე უნდა აეშენებინათ. მართლაც პორტ-არტურმა მხოლოდ მცირე გავლენა იქონია მანჯურიის ველებსა და მთებში მომხდარ ბრძოლაზე. ამ ბრძოლის ბედი გენ. ნოგის არმიის დაუხმარებლად გადასწყდა. რასაკვირველია, მარშალ ოიამას რომ გენ. ნოგის არმიაც ხელთა ჰყოლოდა, იაპონელები აგვისტოდან ნოემბრამდე მდ. ტაიძიხესა და ხუნხეს შუა უფრო მხნედ მოიქცეოდნენ და გენ. კუროპატკინს უფრო გაუჭირვებდნენ საქმეს; მაგრამ მეტის-მეტი გულ-უბრყვილობა იქნება იმის თქმაც, ვითომ პორტ-არტური რომ ივლისში დაცემულიყო, იაპონელები უსათუოდ გაანადგურებდნენ რუსის არმიასაო. გინდ იაპონელებს ერთი-ორად მეტი ჯარი ჰყოლოდათ რუსებზე, გენ. კუროპატკინი მტრის მოგერებას დასჯერდებოდა და იქნება მუკდენის ნაცვლად ტელინისაკენ, ან უფრო შორს დაეხია; რუსის არმია მაშინ 100—160 ვერსტით შორს ჩრდილოეთში მოიყრიდა თავსა, ასე რომ გენ. კუროპატკინი პორტ-არტურმა-კი არა, თავის თავმა „იხსნა". პორტ-არტურმა მხოლოდ ის სარგებლობა მოიტანა, რომ რუსის ჯარმა იმის წყალობით იაპონელები მუკდენთან შეაყენა და ხან და ხან წინ გალაშქრება მოახერხა, თუმცა ეს გალაშქრება მუდამ მარცხით თავდებოდა. მანჯურიაში რაღაც 100 ვერსის სიგრძე ადგილის შენარჩუნება, უეჭველია, ვერ დაჰფარავს პორტ-არტურის მრისხანე ციხის დაკარგვასა და უზარმაზარ ესკადრის დაღუპვას. ჯერ ესეთი უზარმაზარი ესკადრა დიდ ოკეანეში არ ჩაძირულა. დასასრულ ნუ დაგვავიწყდებათ, რომ თუ პორტ-არტური გენ. ნოგის არმიას აჩერებდა თავის კედლებთან, გენ. კუროპატკინიც იძულებული იყო ამ ციხეში გენ. სტესელის არმია, თითქმის 40 ათასი კაცი, დაეტოვებინა.

არა, დროა გაბედულად შევხედოთ მრისხანე სინამდვილეს და გამოვტყდეთ, რომ 1904 წლის სამხედრო კამპანია წავაგეთ. იაპონიამ მიაღწია კიდევაც თავის საწადელს: კორეაში რკინის გზები გაიყვანა და ჯარითა და იაპონელ კოლონისტებით გაავსო იქაურობა; პორტ-არტური მთელის ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულით გამარჯვებულ იაპონიის ხელშია. მანჯურიაში რუსის ჯარი ოკეანის ნაპირიდან შორსაა განდევნილი, მაგრამ იაპონიასა და რუსეთს დავა მანჯურიაზე როდი მოსდით; სულერთია მანჯურიის „კარი ღია" უნდა დარჩეს სამუდამოდ; ამისათვის ინგლისი და ამერიკა იზრუნებენ. თუ ვინიცობაა იაპონელებს ფული და ჯარი არ ეყოფათ, შეუძლიანთ მტრის მოგერებას დასჯერდნენ, რუსეთმა-კი ახალი სამხედრო კამპანია უნდა დაიწყოს და უმთავრესად პორტ-არტურის დაბრუნებას ეცადოს. გინდ მარშალ ოიამას არმია დამარცხდეს, იაპონელები მაინც უბრძოლველად არ დაგვანებებენ პორტ-არტურს, რადგან ეს ომი მანჯურიის გულისათვის როდია ატეხილი; პირიქით, რუსის არმიას გულდაგულ ბრძოლით მოუხდება კვანტუნის დაბრუნება და კორეის დაპყრობა, რადგან უამისოდ შეუძლებელია წყნარ ოკეანის ნაპირებზე „მტკიცედ დამკვიდრება". პორტ-არტურის დაცემის შემდეგ რუსეთს მტრის ჯავრის ამოყრა-კი არა, გაცილებით უფრო მძიმე საქმე უდევს წინა—ყვითელ ზღვაზე დაკარგულ ბატონობის დაბრუნება და თუ ომის პირვანდელ მიზანზე („წყნარ ოკეანის ნაპირებზე დამკვიდრება") ხელს არ აიღებენ, რუსეთი ახალ სამხედრო კამპანიისათვის უნდა მოემზადოს. ეს ახალი კამპანია არა თუ არმიისა და მთავრობის ძალას, მთელის ერის ძალასაც მოითხოვს. თუ უნდათ, რომ ახალი დიდი საქმე რიგზე შესრულდეს, უპირველესად იმ მოსაბეზრებელ და გულის გამსიებელ სიჩუმის კედელი უნდა დაანგრიონ. ზოგიერთი ამბავი მთელმა ქვეყნიერობამ იცის და ჩვენში-კი „საიდუმლოებად" მიაჩნიათ და ჰმალვენ. სასაცილოა სწორედ! გაზეთებში უმაღლესი ბძანება იბეჭდება, გენ. კუროპატკინისათვის ახალი ჯარი შეადგინეთო, იბეჭდება საიმპერატორო კარის მინისტრის დეპეშები, სადაც ზედ მიწევნითაა ჩამოთვლილი ბაიკალს იქით მიმავალი პოლკები, და სამხედრო მიმომხილველს-კი ნება არა აქვს ეს რაზმები თავის წერილებში მოიხსენიოს. ყველა მსურველს შეუძლიან „ხმელეთის ჯარის მოკლე სია" და გამოცემული სამხედრო ბძანებები იყიდოს რამდენსამე მანეთად მთავარ შტაბის წიგნის მაღაზიაში; ამ წიგნში სწორედაა აღნიშნული გენერალ კუროპატკინის არმიის ყველა ნაწილი, ახლად შეკრებილი და შორეულ აღმოსავლეთს მიმავალი ჯარი, მაგრამ ამ ყველასათვის ხელმისაწდომ ცნობების მოხსენება გაზეთებში აკრძალულია. ძნელი სათქმელია, რით აიხსნება ესა. ნუ თუ ჰგონიათ, რომ იაპონელებს უბრალო არითმეტიკული ანგარიში არ შეუძლიანთ (ბატალიონების რიცხვის დათვლა და ამ რიცხვის გამრავლება ბატალიონში დაწესებულ სალდათებისა და აფიცრების რიცხვზე)? ან იქნება ჰგონიათ, რომ რუსის ხალხი მხოლოდ მოხალისეთა მოქმედების ამბებს უნდა სჯერდებოდეს, დანარჩენი კი სათანადო მთავრობამ უნდა იცოდეს? ნუ ავიწყდებათ, რომ რუსის ხალხი ამ ომს ათასობით სწირავს სიცოცხლესა და მილიონობით ფულსა".

ახალი ამბავი

◆ ამ დღეებში პეტერბურგიდან დაბრუნდა საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურე და თან ჩამოიტანა უწ. სინოდის მიერ დამტკიცებული **ახალი პროგრამმა სამრევლო სკოლებში** საგნების სწავლების შესახებ.

◆ 28 დეკემბრის **ტფილისის ქალაქის საბჭო** შეუდგა 1905 წლის სავარაუდო ხარჯების განხილვას. მოასწრეს განხილვა სულ 14 მუხლისა. კამათი გამოიწვია მეათე მუხლმა: გამგეობა თხოულობდა 1200 მანეთის მომატებას სათადარიგო ტეხნიკოსისათვის და 1500 მანეთს ელექტრო-ტეხნიკის მოსაწვევად. საბჭოს უმრავლესობამ გამგეობის წინადადება მიიღო. დიდხანს ილაპარაკეს მეთოთხმეტე მუხლის გამო. გამგეობა თხოულობდა ზოგ მოსამსახურისათვის ჯამაგირის მომატებას. საფინანსო კომისია წინააღმდეგი იყო და, რაკი მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა საბჭოს მიერ მიღებული წესი მოხელის დაჯილდოვების: ყოველ ხუთის წლის ნამსახურისათვის, წინადადება შემოიტანა (გამგეობაც მიემხრო), რომ ეს ახალი წესი გავრცელებული ყოფილიყო ძველ მოსამსახურეებზედაც და 1905 წლის პირველ იანვრიდან მიეცეს, ვისაც ერგება ზედ-მეტი ჯამაგირი ხუთის წლის ნამსახურობისათვისაო. ეს წინადადება უარჰყო საბჭომ.

◆ როგორც უკვე ვწერდით, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, დღეს, 30 დეკემბერს, უნდა მომხდარიყო **არჩევნები, მოქალაქეთა რწმუნებულებისა.** არჩევნები სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, გადაიდო. დაინიშნება არჩევნები დღესასწაულების შემდეგ.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** ახალ წლის მეორე დღეს მიემგზავრება ზაქათალის ოლქში ეკკლესიებისა და სამრევლო სკოლების დასათვალიერებლად. ექსარხოსს თან მისდევს სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურე.

◆ როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, ანაგელ გლეხთა **მთელი საზოგადოება თავს დასხმია** პაპიანელებს. ამ უკანასკნელთ ანაგელებისთვის წაურთმევიათ ძველი ანაგის ადგილები და ეხლა ანაგელებს ამ ადგილების უკან დაბრუნება განუზრახავთ. ამტყდარა დიდი ჩხუბი და კეტების ტრიალი. მძიმედ დაშავებულა ორივე მხრიდან რამდენიმე კაცი. ანაგელებს მიუციათ ცეცხლი პაპიანელების თივებისთვის, გადაუწვავთ მათი ვენახის ღობეები და დაუკლავთ რამდენიმე სული საქონელი.

◆ **სომეხთა კათალიკოსი** სრულიად განიკურნა მუხლების ქარებისაგან და მალე გარედაც აპირებს გამოსვლას. კათალიკოსი ტფილისში აპირებს დარჩენას აპრილამდის. ამ ჟამად იგი, სხვათა შორის, პეტერბურგიდან ელის პასუხს იმ შუამდგომლობისას, რომელიც უმაღლესს სახელზე გაიგზავნა. შუამდგომლობა შეეხება სამრევლო სკოლების გადაცემას ისევ სამღვდელოების ხელში, სამღვდელოების მიერ დაფიცებას სომხურ ენაზე და სხვა საყურადღებო საკითხებს.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა საჭიროდ სცნო **ამერიკულ ვაზის სანერგეების** გამრავლება და გამართვა, რამდენადაც შესაძლებელია, კავკასიის ყველა კუთხეში. კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე საჭირო ფულის გადადების შესახებ.

ფელეტონი

აჩქარდნენ

(ქუთაისის საურთიერთო ბანკის გამო)

ქუთაისის საურთიერთო ბანკის კრება გათავდა.

შესრულდა ოპოზიციის საარჩევნო გეგმა,—ძველების მაგიერად აარჩიეს ახალი გამგეობა, საბჭო და სარევიზიო კომისიაც... კრებამ ბუხჰალტერის და თითქმის მწერლების გამოცვლაც დაავალა ახლად არჩეულ გამგეობას. აღიძრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად დამნაშავენი არიან საბჭოს და გამგეობის წევრები ზარალში და ამის გამოკვლევა მიენდო ბ-ნთ კალისტრატე ჩიკვაიძეს, იაკობ ალიბეგოვს, სიმონ ჭეიშვილს, ალექსანდრე კრინიცკის და სხვებსაც. მთავრობის რევიზიის მიერ ნაანგარიშევი ზარალი გადასწყვიტეს გადაეხადათ ნაწილ-ნაწილად 1905 წლის განმავლობაში. ამდენი საქმე შეასრულა კრებამ, მაგრამ მაინც უნდა გთქვათ გამოტეხილი:

„აჩქარდნენ!".

ყოველ ისეთ დაწესებულებას, როგორიც ქუთაისის საურთიერთო ბანკია, დიდი საზოგადო და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის. აქ, ამნაირ დაწესებულებების კრებებზე ეჩვევა ხალხი საკუთარ საქმეების გაძღოლას, ეჩვევა მოპირდაპირეებთან ერთად საერთო საქმის შესახებ მოლაპარაკებას, შეთანხმებას, ე. ი. უთგელივე მას, რაც უნდა დაედოს სარჩულად ხალხის მომავალ ცხოვრებას. ამიტომ იყო, რომ ყველა ადგილობრივი გაზეთი ურჩევდა კრებას სიდინჯეს. ამიტომ იყო, რომ ქუთაისში ზოგიერთი ემუდარებოდა ოპოზიციის მეთაურებს კრებაზე წესიერების დაცვას.

მაგრამ ამაოდ... ბანკის უკანასკნელმა კრებამ, ამ კრების მეთაურების წყალობით, ჩაიდინა ერთი დიდი ზნეობრივი შეცდომა. მიზეზის აუხსნელად, პასუხის მოუკითხავად გადააყენეს გამგეობა, საბჭო, მოსამსახურეები... დაიწყო თუ არა კრება, ერთმანეთში შეთანხმებულმა ოპოზიციამ იგრიალა: ეუთი, ეუთი! გამგეობის წევრები სცდილობდნენ ლაპარაკს, მაგრამ ლაპარაკის ნებასაც არ აძლევდა არავინ: „არ გვინდა! არ გვინდა! ეუთი!".

მართლა, შეიძლება ზოგიერთმა იმართლოს თავი იმითი, რომ საქმის გარემოება იცოდა წინადვე,—იცოდა მთავრობის რევიზიის მოხსენება, იცოდა აგრეთვე გამგეობის მიერ დარიგებული ამ მოხსენების პასუხი, მაგრამ ადვილად მიხვდება ყველა, რომ ეს გამართლება საკმარისი არ არის. პირველი ის, რომ ეს მოხსენება და ეს პასუხიც კრებაზე დამსწრე ყველას არ ჰქონდა სავსებით შეგნებული, ზოგს ხომ სრულებითაც წაკითხული არა ჰქონდა, რადგან უნდოდა მოესმინა კრებაზე ამ ორივე ქაღალდის შესახებ ბაასი, რომ ამ სახით გაეგო მართალი. მეორე ის, რომ კერძო კრებაზე, რომელიც ჰქონდა გამართული ბანკის ოპოზიციას, და რომელზედაც კითხულობდნენ და არჩევდნენ რევიზიის მოხსენებას, თავს იყრიდნენ და ლაპარაკობდნენ ან ამ ოპოზიციის წარმომადგენელნი, ან საზოგადოთ ისეთი პირები, რომელთაც სრულებით არა ჰქონდათ გათვალისწინებული ბანკის ნამდვილი მდგომარეობა. არც ერთხელ ამ კერძო კრებაზე არ მოუწვევიათ ბანკის გამგეობა, არ მოუსურვებიათ იმის სიტყვის მოსმენა. ამითი კრებას მიეცა საგიტაციო ხასიათი და მიზანი. ცხადია, ამნაირ საგიტაციო კრებებზე საქმის გაცნობა საკმარისი არ იყო იმათთვის, ვინც ეძებდა საქმეში სიმართლეს.

მესამე ის, რომ გამგეობის მიერ დარიგებულ პასუხში, რომელიც უნდა გაეგზავნოს სამინისტროს, არ შეიძლებოდა ბევრი ისეთ რისიმე დაწერა, რაც ითქმოდა უთუოდ კრებაზე გამგეობისაგან საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევად. ამიტომ ცხადია, რომ მხოლოდ ამ დაბეჭდილ პასუხზე მსჯელობის დამყარება არ იქმნებოდა სამართლიანი. ესეც იცოდნენ ოპოზიციის მეთაურებმა და მაინც არ მოისურვეს კრებაზე გამგეობის მოსმენა. და მეოთხე კიდევ ის, რომ გამგეობის პასუხი დაურიგდა წევრებს 5 დეკემბრის შემდეგ, გამგეობისა და საბჭოს გადაყენება კი ოპოზიციასა ჰქონდა გაწყვეტილი ადრევე, მანამ ეს პასუხი ჯერ დარიგებულიც არ იყო და არ იცოდა არავინ, თუ რა აქვს გამგეობას სათქმელი რევიზიის მოხსენების შესახებ. ამნაირად ბანკის კრებაზე ოპოზიციამ უარ-ჰყო პრინციპი, რომლის ძალითაც არ შეიძლება დაისაჯოს ადამიანი მის გასამართლებელ სიტყვის მოუსმენლად...

მაგრამ ჩვენში ხომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—შუა უზის დიდი ზღვარი"!—ესევე ითქმის ქუთაისელების მოქმედებაზე. *) ქუთაისის საზოგადოებამ გადააყენა ბანკის გამგეობა მიზეზის აუხსნელად, პასუხის მოუსმენლად, გადააყენა ისე, როგორც ადმინისტრატიულ დაწესებულებაში ითხოვენ დაბალ მოსამსახურეს მაზე მიღებულ ხელ-მოუწერელ დაბეზღების გამო.

შეიძლება სთქვას ოპოზიციის ზოგიერთმა მეთაურმა,—ბანკის სარგებლობა გვქონდაო მიზნად,—ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა,—ის კი ცხადია ყველასათვის, რომ თვითონ ის ფაქტი,—არჩეულ პირის გადაყენება მიზეზის აუხსნელად და პასუხის მოუკითხავად—ისეთი მოვლენაა, რომ უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება სწორედ ჩვენ დროში, როდესაც ყველა იმედით შესცქერის ხალხის საზოგადოებრივ განვითარებას. გაბატონეს ისეთი პრინციპი, რომელიც ეწინააღმდეგება თანამედროვე პროგრესიულ მისწრაფებას და აფერხებს ხალხის განვითარებას. მართლაც, რა არის საზოგადო კრება? რისთვის იკრიბება ხალხი? რა მიზანი აქვს კრებაზე ლაპარაკს?

დასავლეთ ევროპაში, სადაც საყოველთაოდ არის აღიარებული სიტყვის თავისუფლების პრინციპი, სადაც ყოველ ადამიანს თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია მოპირდაპირის პატივისცემა, კრება საზოგადოების სამსჯავროა. კრებაზე ყოველსავე დამსწრეს ეძლევა უფლება დალაგებით წარმოსთქვას თავისი აზრი,—მიმართულების მიუხედავად, ყველა თავისას ამბობს, საკუთარ აზრის სიმართლეს ამტკიცებს,—კრება კი უსმენს ლაპარაკს და შემდეგ გაგონილის აწონ-დაწონით ადგება ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. პარლამენტი გინდათ, საერობო კრება, თუ კერძო შეკრებილება, ყველგან და ყოველთვის არის პრინციპად,—ათქმევინონ თავისი აზრი მოპირდაპირეს...

მხოლოდ ჩამორჩენილ, თავისუფლებას მოკლებულ ქვეყნებში უარყოფილია ასეთი პრინციპი და მის მაგიერად გაბატონებულია ძალ-მომრეობა. კრების უმეტესობა ან საზოგადოებაში გაბატონებული რომელიმე პირი უმეტესობის დახმარებით, თავის ნებაზედ ატრიალებს საქმეს, არაფრად აგდებს მოწინააღმდეგეს, ძალით სარგებლობს, რომ პირში ბურთი ჩასჩაროს თავის სუსტ მოპირდაპირეს.

აი სწორედ ასე მოიქცა ქუთაისის საუ რთო ბანკის უკანასკნელი კრებაც. საზოგ ბრივ ზნეობის უარის ყოფა იმ წერტილ მივიდა, რომ ერთი „ჭაბუკი ინტელიგენ ნი" ბ-ნ ა. კრინიცკი,—რიხიანად გაიძახ

---

*) აქვე საჭიროდ მიმაჩნია გარკვევით გამოვაცხადო, რომ აზრად არა მაქვს რამე წუნი დავდო გამგეობის ახლად არჩეულ წევრებს. პირიქით, მგონია, რომ ბანკისათვის მეტად სასარგებლოა ისეთ შეძლებულ და ფულიან კაცების არჩევა, როგორიც არიან თავ. სიმონ ლორთქიფანიძე, ნესტორ ერისთავი და გიორგი აკოფაშვილი. ყველამ იცის, რომ ამათ ბლომად აქვთ საკუთარი ქონება და ფული,—მაგალითი თუ უჩვენეს შეშინებულ წევრებს და ფული შემოიტანეს ბანკში, უეჭველია ამითი დაამშვიდებენ ყველას და გაამაგრებენ დაწესებულებას.

✦ **ცნობები ხოლერის შესახებ.** 20-დან 26 დეკემბრამდე ბაქოში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი, მოკვდა 1, ბაქოს მაზრაში ავად გახდა ორი, ლენქორანის მაზრაში მოკვდა 9. სხვა მაზრებში ავად არავინ გამხდარა. განჯის მაზრაში 18 დეკემბრიდან ავად არავინ გამხდარა. ერევნის გუბერნიაში აქა-იქ, კანტი-კუნტად, ხდებოდნენ ავად. 19 დეკემბრისთვის ამ გუბერნიაში ხოლერიანი იყო სულ ათი კაცი. 26 დეკემბრისთვის ნახიჩევანის მაზრაში ავად გახდა 1, მოკვდა 1; შარურო-დარალაგეზის მაზრაში ავად გახდა 5, მოკვდა 5, ეჩმიაძინის მაზრაში ავად გახდა 7, მორჩა 6; ქალ. ერევანში ავად გახდა 2, მოკვდა 1.

✦ „ინვალიდ“-ში დაბეჭდილია მე-20 სია **მოკლულ და დაჭრილ სალდათებისა.** სხვათა შორის, მოხსენებულია ერთი ახალციხელი ქართველი, აღმოსავლეთ-ციმბირის მე-33 პოლკის ჯარის-კაცი, სოლომონ ივანიძე, რომელიც ლიაოიანის ბრძოლაში დაჭრილა 17 აგვისტოს.

✦ 23 დეკემბერს ვიღაც ოთხ შეიარაღებულ კაცს **გაუძარცვავს ეტლი,** რომელიც სად. ნატანებიდან ოზურგეთში მიდიოდა. ეტლში მყოფ ბეითლისთვის 30 მან. წაურთმევიათ, მასწავლებელ ცინცაძისთვის—15 მანეთი და მესამე მგზავრისთვის—100 მანეთი. შემდეგ ბოროტ-მოქმედნი დამალულან.

✦ **ფოთი.** 19 დეკემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ აკურთხა ახლად გადაკეთებული სასაფლაოს ეკკლესია. წირვის შემდეგ ეპისკოპოსი და ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულებების წარმომადგენელნი სადილად იყვნენ მიწვეულნი სასაფლაოს ეკკლესიის მღვდელთან, მაგრამ სადილზე, გარდა სასულიერო წოდებისა და ორიოდ საერო პირისა, არავინ დარჩენილა.

✦ პარასკევს, 31 დეკემბერს, ტფილისის **საგუბერნიო სამხედრო საკრებულო** გაარჩევს ახლად სამხედრო სამსახურში გაწვეულთა საჩივრებს სამაზრო სამხედრო საკრებულოების გადაწყვეტილების გამო.

✦ **აკაკის სახელობის ფონდის** სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო 9 მ. 35 კაპ., სად. ნავთლუღში შეკრებილი ად. კორძაიას მიერ.

✦ ამიერ-კავკასიის **რკინის გზიდან იმიერ ბაიკალის გზაზე** იგზავნებიან დროებით ორი ობერ-კონდუქტორი, ორი საქონლის და ცამეტიც ტორმოზის კონდუქტორი. იმათში ქართველებიც არიან. ეს კონდუქტორები 31 დეკემბერს წავლენ.

✦ კავკასიის წყლების ინსპექტორმა შემდეგის თხოვნით მიმართა გუბერნატორს: მიხეილის პროსპექტის ზოგიერთა სახლის პატრონებმა, პოლიციის განკარგულებით, უკვე დაიწყეს ამოვსება და ამოქოლვა ნემეცთა სარწყავ არხისა. ამ არხის სრულიად დახურვის შემდეგ ტფილისის საწყლო მეოთხე ოლქის ნაწილი, რომელიც შუაგულ ქალაქში მდებარეობს, სრულიად მოურწყველი რჩება და ამ რიგად 49 ბაღის ნაჭერი, 37,814 ოთხ-კუთხ საჟენიანი, სამუდამოდ უნდა გაფუჭდეს. ამისათვის გთხოვთ, პოლიციის განკარგულება, რომელიც კავკასიის საწყლო საქმეს არ ეთანხმება, შესცვალოთ და ააცდინოთ ამ საზოგადოებას თავიდან ზარალი. თუ ამ ბაღების მორწყვის დრომდის ეს პოლიციის განკარგულება არ იქნება შეცვლილი, იძულებული გავხდებით სამართლით მოვითხოვოთ უფლებათა აღდგენა. გარდა ამისა, ის სახლის პატრონნიც სამართალს მიმართავენ, ვისაც ხელახლა მოუნდება ამოვსებულ არხების ხელ-მეორედ გაწმენდაო.

✦ 27 დეკემბერს სხდომა ჰქონდა ტრამვაის მეთვალყურე კომისიას. კომისიამ, სხვათა შორის, განიხილა საჩივარი ყოფილ კონდუქტორის ეგოროვისა, რომელმაც კომისიას განუცხადა, უსახელო საზოგადოებამ უსაფუძვლოდ დამითხოვა, რადგან დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე მუშაობით მოქანცულმა, უარი განვაცხადე ღამის 10 საათსა და 30 წამამდე მუშაობაზე, როგორც ამას რკინის გზის მოძრაობის უფროსი თხოულობდაო. კომისიამ ამ საქმის გამოძიება დაავალა თავის წევრებს ა. დულაძეს და ქანანოვს. შემდეგ თავმჯდომარემ აცნობა კომისიას პროექტი ვაგზლის ლიანდაგისათვის საჭირო პავილიონისა. კომისიამ მოიწონა პროექტი. ამავე სხდომაზედ კომისიამ მოისმინა საჩივარი ორთაჭალის ზოგიერთ მცხოვრებისა. ესენი თხოულობდნენ, დაევალოს უსახელო საზოგადოებას, რომ დააჩქაროს ვაგონების მიმოსვლა. კომისიამ დაადგინა, დაევალოს ხმოსნებს ი. მ. ალიხანოვსა და გრიქუროვს დაათვალიერონ ორთაჭალის ლიანდაგი უსახელო საზოგადოების დირექტორთან ერთად და აცნობონ კომისიას მიზეზები ვაგონების ნელა სიარულისა.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში, კირპიჩნი ქუჩაზე, სვიმონოვის სახლში მოთავსებულ ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიას გაუჩნდა ცეცხლი 28 დეკემბერს ღამე. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ ნამდვილად ვერ გამოურკვევიათ. როგორც ამბობენ, დღისით კანცელარიაში მოხელეებს პაპიროზის ნამწვები დარჩათო. ცეცხლის გაჩენა შეუტყვიათ ნაშუაღამევის სამ საათზე, როცა ყველას ეძინა. მთელი ზემო სართული ცეცხლის ალში იყო გახვეული, რომ მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და კარგა ხანს ბრძოლის შემდეგ, ის მაინც მოახერხა, რომ ცეცხლი მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის სადგომიდან სხვაგან არსად გადაუშვა, თუმცა ცეცხლის ქრობის დროს თითქმის მთელი შენობა დაზიანდა. დაიწვა სასამართლოს არქივი, საკანცელარიო ნივთები და მრავალი საქმე. ცეცხლის გაძლიერებას იმან უფრო შეუწყო ხელი, რომ პირველად ცეცხლი მოსდებოდა საქმეებს. ზარალი 15,000 მანეთამდეა. სვიმონოვის სახლი დაზღვეულია პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოებაში.

✦ სად. სანგაჩალი. 26 დეკემბერს, როდესაც საქონლის მატარებელი № 173 უნდა გაჩერებულიყო, ტორმოზიდან ჩამოდიოდა კონდუქტორი კრუჩკოვი, რომელიც ვაგონსა და ვაგონს შუა ჩავარდა და მარჯვენა მკლავი და ფეხი დაუშავდა.

✦ სად. ევლახი. 26 დეკემბერს, დილის ათ საათზე, 6 წლის ქალს ალექსანდრა პეტროვას ცეცხლი დაენთო გარედ და თამაშობდა. ცეცხლი წაეკიდებოდა კაბაზე; იმ დროს არავინ არ ყოფილიყო გარედ და საშინლად მოსდებოდა თმასა და კაბაზე. ბავშვმა საღამოს ხუთ საათამდის იცოცხლა და გარდაიცვალა.

✦ სად. აჯიქაბული. 27 დეკემბერს, დილის 9 საათსა და 40 წუთზე, გასასვლელ ისარს იქით, როდესაც ლიანდაგს მეორე მხარეს უნდა გადასულიყო, ქვის მთლელს სამსონ მნაცაკანოვს მოასწრო საქონლის მატარებელმა № 178 და მარჯვენა ფეხი გაუფუჭა. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, 28 დეკემბერს, ვოდოპოდიომნი ქუჩაზედ მცხოვრებ მარიამ ხახლოვისათვის, შინ არ ყოფნის დროს, მოუპარავთ 150 მანეთის ნივთები.

✦ უკანასკნელ ათის დღის განმავლობაში ტფილისში 34 სული გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით. აქედან წითელათი ავად გამხდარა 12, ყელის ჭირებით 1, ხუნაგით 16, წითელი ქარით 1 და სხვა.

✦ გორი. 27 დეკემბერს, დილის 5 საათსა და 20 წუთზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 6 გორის სადგურზედ იდგა, მგზავრს გიორგი ფომინს აალალეს ბარგი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 29 დეკემბერი. მინისტრთა კომიტეტმა თავის უკანასკნელ კრებაზე განიხილა უმაღლესს ბრძანების პირველი მუხლი. ამ მუხლის გამო კომიტეტის უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ კანონი სავსებით დაცულ იქნას. რომ იგი ყველა მოხელის უპირველესს მოვალეობად გადაიქცეს; ამისათვის-კი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაწესდეს, რომ არავითარი წესი და დებულება, რასაც დროებითი ხასიათი აქვს, ძალაში არ შევიდეს იმ დრომდე, ვიდრე სახელმწიფო საბჭო ნებას არ დართავს. რაც შეეხება გაძლიერებულ დაცვის დებულებას, მინისტრთა კომიტეტმა საჭიროდ სცნო ამ დებულების გაუქმება. სახელმწიფო საბჭოში ეს საკითხი აღძრული იყო ჯერ ისევ უმაღლესს ბრძანებამდევე. საბჭომ ეხლა დააჩქარა ეს საქმე. განზრახულია ახლო მომავალში გააუქმონ დებულება გაძლიერებულ დაცვის შესახებ.

პრესსა

განვაგრძობთ რუსულ გაზეთების აზრისა და შეხედულების გადმოცემას პორტ-არტურის დაცემის გამო.

„რუს“-ი სწერს:

> თერთმეტი თვეა ვომობთ და, მგონი, მხოლოდ ეხლა შევიგნეთ მისი ნამდვილი აზრი და სიდიდე. არ ვემზადებოდით ომისთვის, თუმცა ყველაფერი ომზე ჰყვიროდა. მაგრამ უარესიც მოხდა—თვითონ ომის დროსაც არ ვემზადებოდით. პორტ-არტურისთვის რომ მიგვეწოდებინა, რაც აუცილებელი იყო, სრული სამი თვე გვქონდა და განა გავაკეთეთ, რის გაკეთებაც შეიძლებოდა? ჩვენი ბურჯი ყვითელ ზღვაზე დაეცა სურსათისა და უწყალობისაგან და ამურის მხარეში-კი გაიყინა რამდენიმე მილიონი ფუთი კომბოსტო და სხვა ბოსტნეულობა, რომელიც გლეხებმა დაამზადეს საინტენდანტოსთვის და საინტენდანტომ-კი, რაღაც მიზეზის გამო, არ იყიდა... როჟესტვენსკი ესკადრის მომზადება შეგვეძლო დაგვეწყო 28 იანვრიდანვე. იერიშებითა და სურსათით წამებულ გარნიზონს უფლება აქვს გვითხრას: ჩვენ, პორტ-არტურლებმა გავაკეთეთ, რის გაკეთებაც შეგვეძლო და მეტიც. მაგრამ თქვენ-კი, პეტერბურგელებო, შეასრულეთ, რის შესრულებაც შეგეძლოთ და უნდა აგესრულებიათ?

გაზეთის აზრით, საქმის გამობრუნება შეუძლებელი იქნება, სანამ სახელმწიფო ცხოვრების არსებული პირობები შეუცვლელი დარჩება. „მხოლოდ ჯარის საშუალებით გამარჯვება შეუძლებელია“-ო უთქვამს ცნობილ სტახოვიჩს და ეს სრული ჭეშმარიტება არისო.

> მართლაც, ხმელეთზე ვმარცხდებით, ზღვაზე ვმარცხდებით, ციხე წაგვართვეს. კიდევ რაღა უნდა გამოვცადოთ? ჯარის იმედი რომ არ ყოფილიყო, არც ომი იქნებოდა... საჭიროა ახალ ძალ-ღონის მოკრება, ახალი ჭკვა, ახალი იმედი, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელია... და რომ მიზნის მიღწევა შესაძლებლად გვეჩვენოს, საჭიროა, რომ სახელმწიფოს ყოველმა წევრმა გაიგოს როგორ გაუძლვებიან ომს, რა საშუალებებია ამ ომისათვის, არის სახელმწიფოში ნამდვილი ხალხი, თუ მარტო მოხელეებია... ჩვენის რწმენით, ომის სასურველად დამთავრება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ხალხის არჩეული წარმომადგენლები ითათბირებენ საერთო მდგომარეობაზე...
>
> პორტ-არტურის დაცემა—მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. იგი ჩვენის ისტორიის ფურცელია და დროა დავრწმუნდეთ, რომ ისტორია ჩვენთვისაც არსებობს.

ისტორია შეუბრალებელი, მკაცრი მსაჯულია ყველა იმათი, ვინც მის არსებობას ივიწყებს, ვისაც ჰგონია, რომ მისით დაიწყო მსოფლიო და მითივე თავდება.

⁂

დიდ, ძალიან დიდ უმრავლესობისათვის პორტ-არტურის დაცემა მოულოდნელი ამბავი იყო და, რასაკვირველია, მით უფრო მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ვინც საზღვარ-გარეთელ გაზეთებს კითხულობდა, ისიც თუ ცენზურის ხელში არ ყოფილა, მარტო ამათ იცოდნენ საქმის ნამდვილი მიმდინარეობა და ამიტომ პორტ-არტურის დაცემა მათთვის მოულოდნელი არ იქმნებოდა, მაგრამ

> რუსულ გაზეთების მკითხველნი სულ სხვა შეხედულების უნდა ყოფილიყვნენ. მუდამ დღე არწმუნებდნენ ამ მკითხველს, რომ პორტ-არტურთან ბრძოლა ჯერ კიდევ წინა პოზიციებზეა, რომ მკვიდრ ფორტების იერიში შორსაა და რომ ალყა ჯერ კიდევ დიდ-ხანს გაგრძელდებაო.
>
> რად ატყუილებდა რუსული პრესსა თავის მკითხველს, რად მალავდა იმ სამართლეს, რომელიც მტერმა მშვენიერად იცოდა? ასეთი საყვედური უკვე ისმის, მაგრამ იგი უსაფუძვლოა და სულ სხვას ეკუთვნის.
>
> სიმართლის დამახინჯებაში ბრალი რუსულ პრესას-კი არა აქვს, არამედ სამხედრო ცენზურას. ეს ცენზურა იყო, რომ გვიკრძალავდა დაგვეხატა დაახლოებით სწორი გეგმა პორტ-არტურის სიმაგრეებისა, სქემა სამხედრო ოპერაციებისა. საკმარისი იყო, მაგალითად, გვეჩვენებინა ერლუნშანი თვის ადგილს, რომ მაშინვე წითელ კარანდაშით გადაეხაზათ, ზედ კითხვითი ნიშნები დაესვათ ან ისეთი შენიშვნები გაეკეთებინათ, რომელიც არ არის ნახსენები სამხედრო ცენზურის წესების არც ერთ პუნქტში. იგივე ბედი ემართებოდა ალყის მსვლელობის ყოველ სწორ აღწერას. ან უნდა გაჩუმებულიყავით, ან ზოგადი ფრაზები დაგვეწერა ან უნდა გვემტკიცებია, რომ იაპონელებს ჯერ კიდევ დროებით აშენებულ წინა სიმაგრეებზე მიაქვს იერიშიო.

21 დეკემბრის „რუსკი ინვალიდ“-ის ნომერი საუკეთესო ილიუსტრაცია არის ზემოდ თქმულისათვისო, განაგრძობს გაზეთი,

> ამ ნომრის დეპეშებში უკვე მოთხრობილია პორტ-არტურის დაცემის ამბავი და სამხედრო მიმოხილვაში კი ვკითხულობთ შემდეგს: საალყე ჯარის მარჯვენა ფრთის ოპერაციებმა არსებითი სარგებლობა ვერაფერი მოუტანეს ჩვენს მოწინააღმდეგეს, სამაგიეროდ უზომო ზარალი მოუვიდა; იაპონელებმა აიღეს სიმაგრე, რომელსაც ისინი ერლუნგშანის ფორტს ეძახიან; სუნშუშანის ფორტი დროებითი სიმაგრეა; ფორტი „H“ და პანლუშანი დაცვის წინა სიმაგრეებიაო. მიმოხილვის დასასრულს ჩვენი ოფიციალური სამხედრო ორგანო ამბობს, რომ „მცირე შედეგი თერთმეტი თვის ალყისა“ მღელვარებასა და შიშს იწვევს იაპონიაშიო.
>
> და ეს იწერებოდა იმ დროს, როცა კაპიტულიაციის ამბავი უკვე მოსული იყო პეტერბურგში და იაპონიაში საერთო მხიარულება და აღტაცება იყო გამეფებული.
>
> რა საჭიროა სიმართლის ასეთი... დამახინჯება?

⁂

როგორც დეპეშიდან ვიცით, სამხედრო კანონის ძალით, პორტ-არტურის კომენდანტი სასამართლოში უნდა მისცენ, ამის გამო „ნოვოე ვრემია“ სწერს:

> გენერალ სტესელთან და პორტ-არტურის სხვა დამცველებთან ერთად მთელი რუსეთს მხურვალედ ჰსურს ეს განსამართლება. მხოლოდ მარტო სასამართლოს შეუძლიან დაგვანახვოს, რომ გარდა 64 მუხლისა, შეიძლება, იყოს სხვა მუხლებიც, რომლის ძალით სამართალში უნდა იქმნეს მიცემულნი ისინიც, ვინც ციხეს, ნავთ-სადგურსა და დოკებს აშენებს და არ ამთავრებს, ვინც ციხეს აშენებს და იარაღს კი არ აძლევს, ვინც ციხეს მცველებს უყენებს და უზრუნველ არ ჰყოფს ზარბაზნებისა და ყუმბარების მხრივ... მხოლოდ სასამართლოს შეუძლიან გამოარკვიოს მიზეზი იმ საბედისწერო მოვლენისა, რომ რუსეთი იძულებული გახდა პორტ-არტურში გაემეორებინა მეორე სევასტოპოლი იმ განსხვავებით, რომ 50 წლის წინად სევასტოპოლში მსხვერპლად შესწირეს მოძველებული იალქნიანი გემი და პორტ-არტურში კი ჩასძირეს და ააფეთქეს ესკადრა, რომელშიაც უახლესს ტიპის ექვსი ჯავშნიანი გემი იყო, უცხოელ ფლოტისათვისაც სახარბიელო. მხოლოდ მარტო სასამართლოს შეუძლიან გვიჩვენოს, რა დაუჯდა რუსეთს დამღუპველი საბედისწერო კანონი საზღვაო ცენზისა (სამხედრო ფლოტის აფიცრობა სულ თავად-აზნაურთაგან არიან; ერთად-ერთ საზღვაო კორპუსში იღებენ ფლოტის აფიცრებისა და თავად-აზნაურობის შვილებს). არა, განსამართლება უთუოდ უნდა მოხდეს, მაგრამ განსამართლება სასტიკი, სამართლიანი და მოწყალე და არა უბრალო ფორმალური. ამგვარი განსამართლება შეაძრწუნებს მხოლოდ იმათ, ვინც არის ნამდვილი მიზეზი რუსეთის უბედურებისა და შერცხვენისა. პორტ-არტურის დამცველებს სასტიკ განსამართლებისა არ ეშინიათ. ყოველ რუსს ჰსურს იგი, რადგან მხოლოდ იგი უშველის რუსეთს განთავისუფლდეს ფარულ მტრებისაგან, რომელნიც ბევრად უფრო საშიში არიან ცხად მტრებზე.

რუსეთის ქრონიკა

✦ მინისტრთა კომიტეტის წევრთა კერძო კრებაზე დაწვრილებით განხილულ იქნა საკითხი უცხო ტომის და უცხო სარწმუნოების ხალხთა უფლებების შესახებ. ბჭობის დროს ერთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ ის აზრი გამოსთქვა, რომ სავსებით გაუქმებულ უნდა იქნას ამ ხალხთა შემავიწროებელი კანონებიო. ამ კანონების ოდნავ შემსუბუქებით-კი არ ეშველება საქმეს, რადგან ხალხს ჩაუნერგავთ იმ მაინც რწმენას, რომ ყოველ შემთხვევაში საჭიროა განსაკუთრებული კანონები რუსეთში დასახლებულ სხვა-და-სხვა ხალხთათვისო. საჭიროა საფუძლიანი რეფორმა და ყველასათვის ერთნაირ კანონების შემოღება, რადგან მხოლოდ ამნაირად შეიძლება აღიზარდოს ხალხში პატივისცემა კანონიერების მიმართო.

✦ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონების გადასინჯვა მიენდო მინისტრთა კომიტეტის წევრს გრაფ სოლსკის, რომლის განკარგულებით უკვე შეუკრიბეს და გადასცეს დღემდის გამოცემული კანონები და განკარგულებანი, რომელიც ბეჭდვითი სიტყვას ეხება.

✦ „რუს. ვედ.“-ს სწერენ, რომ ეკატერინოდარში 11 დეკემბერს ადგილობრივ ინტელიგენციის კრება მოხდა, რომელსაც 300-მდე კაცი დაესწრო. ბევრი სიტყვა წარმოითქვა საამდროო საზოგადო საკითხების შესახებ. ორატორები უმთავრესად „გაზაფხულის სიოს“ იხსენიებდნენ. საზოგადოებამ მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ორატორებს. კრებას დაესწრნენ ადგილობრივი პოლიცეიმეისტერი და ჟანდარმის

„გამგეობის სამსავე წევრს რომ მივცეთ ლაპარაკის ნება, კრება ვერც ერთ კვირას გათავდება, —გენჯი მაგათო!“

კრებას იმ თავითვე, კრების დაწყებამდის ჰქონდა გადაწყვეტილი ყველასი გადაყენება, სიმართლის შეტყობის სურვილი არა ჰქონია არავის, ეს იყო ჯავრის ამოყრა, ეს იყო წინდაწინვე მოფიქრებული შეურაცხყოფა,—ბანკის ინტერესი აქ მოსაყვანი არ არის.

მაგრამ „ჭაბუკ ინტელიგენტებს“ ასეთი საქციელი მოუფიქრებლობით როდი მოსვლიათ. ერთი ცოდვა აწუხებდათ და ეშინოდათ, ვაი თუ გამგეობის წევრებმა დინჯი სჯა-ბაასის დროს ეს ცოდვა გაუმჟღავნეს გამგეობას. თვითონ თავიანთ მოუფიქრებლობით, სავაჭრო წეს-რიგის უცოდინარობით დააშინეს წევრები, გაატანინეს ყველას ბანკიდან ფული, კერძო სააგიტაციო კრებაზედ კი არწმუნებდენ ხალხს, ვითომც ბანკის შევიწროვება ყოფილიყოს ზარალის შედეგი, და რა კი მათის სიტყვით ზარალში დამნაშავეა გამგეობა, ამიტომ ამ შევიწროებასაც აბრალებდნენ ისევე გამგეობას და საბჭოს. ეს ტყუილი გამომჟღავნდებოდა, ლაპარაკის ნება რომ მიეცათ კრებაში. გამომჟღავნდებოდა, ალბად, „ჭაბუკ ინტელიგენტების“ მონაწილეობა ბანკის შევიწროებაში. მათი საგიტაციო კრებებით დაშინდა ხალხი და ფულის პატრონები მისცვივდნენ ბანკს ფულის გამოსატანად, ამ კრებაზედ ავრცელებდნენ გაზვიადებულ ხმებს ბანკის ზარალის შესახებ და მერმე, როდესაც ბანკი იძულებული შეიქმნა, ვადებში მიეცა შეშინებულ ფულის პატრონებს მათი ფული, როდესაც გახდა იძულებული სატრიალებელ ფულის მოსაპოვებლად გადაეგირავებინა თამასუქები,—თვით ეს „ჭაბუკი ინტელიგენტები“ ავრცელებდნენ გადაგირავებულ თამასუქების პატრონებში ყოველგვარ უკმაყოფილებას, რის გამოც ბანკი უფრო შევიწროვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. აქ ზარალი არაფერ შუაშია, ამისი მიზეზი მხოლოდ „ჭაბუკ ინტელიგენტთა მოუფიქრებლობაა და გატაცება“ გამგეობის საწინააღმდეგო აგიტაციით. გრძნობდნენ თავიანთ დანაშაულს და არა ჰქონდათ საკმარისი ზნეობრივი გაბედულობა, რომ საჯაროდ აღეარებინათ თავიანთი შეცდომა. საუმჯობესოდ მიიჩნიეს ესეც გადაებრალებინათ გამგეობისათვის. და რომ გამგეობას თავი ვერ გაემართლებინა, უბრალო საშუალებას მიჰმართეს, ლაპარაკის ნებაც არ მისცეს გამგეობის წევრებს...

გამგეობას, ალბად, ბევრი რამ ექნებოდა სათქმელი იმის შესახებ, თუ რაში და რა ნაირად გაზვიადდა რევიზიის მიერ საზოგადოების ზარალი; რა არის ნამდვილი საზარალო ბანკის ნამოქმედარში, რანაირად შეიძლება უფრო ადვილად ბანკის გამობრუნება,—და თუ გამგეობას წინად მოსვლია რამე შეცდომა, ისევ მასვე შეეძლო ეჩვენებინა საზოგადოებისათვის მომავალში ამ შეცდომის ასაცილებელი საშუალება. რაც უნდა იყოს, ძველი გამგეობა უფრო იცნობდა საქმეს და შეეძლო სასარგებლო რამ რჩევა მიეცა კრებისთვის. კრებაც ასწონ-დასწონიდა საქმეს, გაარკვევდა აწინდელ მდგომარეობას და მომავალ იმედებს და ისე მოიქცეოდა. ვებრძვით უსამართლობას, გვინდა ყველგან მოიკიდოს ფეხი სამართლიანობამა და კანონიერებამ, ამავე დროს ძალ-მომრეობით გაგვაქვს კრებაზე ჩვენი სურვილი,—რა სახელი დავარქვათ „ჭაბუკ-ინტელიგენტების“ ამნაირ საქციელს?

აქ, ამ წერილში არც ვემხრობი და არც ვეწინააღმდეგები ბანკის ძველ გამგეობას, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო იმათი მოქმედება, ვინც უარ-ჰყოფს საზოგადოებრივ ზნეობის პრინციპებს და ამყარებს ძალ-მომრეობას იქ, სადაც საქმისათვის არის საჭირო საღი მსჯელობა. ამათის მეცადინეობით კრებამ აუკრძალა გამგეობას ლაპარაკი, გადააყენა ყველანი და მხოლოდ ამის შემდეგ, კრების მესამე დღეს აირჩია კომისია იმის გამოსარკვევად, არიან თუ არა რაშიმე დამნაშავე გადაყენებული პირები.

აჩქარდნენ ქუთაისის ინტელიგენტები, აჩქარდნენ! მაგრამ იკითხავს უთუოდ მკითხველი, —რითი აიხსნება, რომ კრების უმეტესობა აჰყვა ამ „ჭაბუკ ინტელიგენტებს?“ ამის პასუხიც არ არის ძნელი. მოგეხსენებათ ჯიბის ძლიერება ჩვენ დროში. სწორედ წრეულს ქუთაისლების ჯიბეს დიდი გასაჭირი დაადგა, როდესაც ყველამ გაიტანა ფული ბანკიდან და ბანკიც იძულებული შეიქმნა დაეგირავებინა ზოგიერთი თამასუქი ადგილობრივ და ტფილისის ბანკებში. ბანკი თამასუქებს, რასაკვირველია, ნაწილ-ნაწილად აგირავებდა. ვისი თამასუქიც პირველად დააგირავა გამგეობამ, ისინი ხომ მაშინვე გადაემტერნენ გამგეობას. რამდენიც მეტი იყო გადასაგირავებელი თამასუქი, იმდენი მეტი და მეტი იყო გამგეობის მოწინააღმდეგე, ყველა გაიძახოდა, რატომ მაინც და მაინც ჩემი თამასუქი გადააგირავეს და სხვებისას კი ინახავენო. არავინ ყურადღებას არ აქცევდა იმ გარემოებას, რომ ის ბანკები, სადაც გირავდებოდა ეს თამასუქები, ყველა თამასუქს როდი იგირავებდა, არამედ არჩევდა ისეთ თამასუქებს, რომელიც უფრო ნაღდად მიაჩნდა. ამ ნაირად გადაგირავდა უმეტეს ნაწილად ადგილობრივ ვაჭრების თამასუქები. ვაჭრებმაც მორთეს ყვირილი: მაინც არ იყო წრეულს ვაჭრობა და ეხლა ეს ჩვენი თამასუქებიც დასახსნელი გაგვიხდაო, სხვებს რომ ხელს აფარებენ, რადა ჩვენი თამასუქები გადააგირავეს ამ თავითვეო და სხვა...

ამნაირად სააგიტაციოდ ნიადაგი მზად იყო. „ჭაბუკი ინტელიგენტებიც“ მიხვდნენ ამას და მხნედ შეუდგნენ აგიტაციას,—ლანძღვა-გინებას. გაიმართა კრებები, დაიწერა ნაირ-ნაირი საბრალმდებლო ოქმები, გაიგზავნა გაზეთებში კორესპონდენციები, დაიწყო წევრების და ფულის პატრონების დაფრთხობა, ჩამოიყვანეს რევიზორი, მასაც ჩაუწვეთეს ყურში ისეთი ამბები, რომ რევიზორმაც საჭიროდ დაინახა „მაგარ“ სარევიზიო მოხსენების დაწერა, მოვიდა სამინისტროს განკარგულება, ან ეხლავე გადიხადეთ მთელი ზარალი და ან დახურეთ ბანკიო, ხალხი შეშინდა, შეკრთა, როდესაც ამოიკითხა სარევიზიო მოხსენებაში ზარალის რაოდენობა, და როცა გამგეობას უნდოდა აეხსნა საზოგადოებისათვის საქმის ნამდვილი მდგომარეობა,— „ჭაბუკმა ინტელიგენტებმა“ უყვირეს ერთხმად: „არ გვინდა, არ გვინდაო“, „სალაპარაკოდ არა გვცალია“, „გენჯი მაგათო!“ აჩქარდნენ!...

ამ ინტელიგენციას ხალხის წინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის, რომ უჩვენა საზოგადოებას ძალმომრეობის მაგალითი დღეს, როდესაც ხალხი დინჯის მსჯელობით, მოპირდაპირეს მოსმენით, ერთმანეთის პატივისცემით უნდა ემზადებოდეს მომავლისათვის. ეს „ჭაბუკები“ კი არ იშლიან დღესაც იმ ჩვეულებას და ხასიათს, რომელმაც თითქმის მოსპო ქუთაისის სადგილმამულო ბანკში თვითმართველობის პრინციპი და დააყენა იქ არჩეულ პირის მაგიერად მთავრობის მოხელე. წინედ, სხვა საქმეებში შერცხვენილნი, აქ გაიმართნენ წელში, „ჭაბუკი“ გმირები და „ჭკა მაგას!“ [illegible] მიიტანეს მედგარი იერიში დაწესებულებაზედ, აიღეს ციხე და ძალმომრეობის დროშა ამართეს შიგნით...

ვიმეორებ, რომ აქ, ამ წერილში არც ძველ და არც ახალ გამგეობას არც ვაქებ და არც ვაძაგებ,—მინდა მხოლოდ აღვნიშნო ის საზოგადოებრივი გახრწნილება, რომელმაც იჩინა თავი ქუთაისის საურთიერთო ბანკის უკანასკნელ კრების მოქმედებაში.

გოდ. გ—ძე

ოფიცერი. კრება დასრულდა ნაშუაღამევის 2 საათზე წესიერების დაურღვევლად.

◆ ამას წინად „რუს. ქრ.“-ში მოყვანილი გვქონდა ამბავი იმის შესახებ, რომ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორმა კამერჰერმა ვუიჩმა ნება არ მისცა ნაფიც ვექილებს შეკრებილიყვნენ პალატის შენობაში სასამართლოს წესდებათა შემოღების შემდეგ 40 წლის თავის აღსანიშნავად. ნაფიცმა ვექილებმა იუსტიციის მინისტრთან უჩივლეს პროკურორს. სამინისტროში განიხილეს ვუიჩის საქციელი და უკანონოდ იცნეს. ამ საქმის შესახებ დადგენილებაში ნათქვამია: როცა პროკურორი რომელსამე კრებას პოლიტიკურ არა-კეთილსაიმედობას დასწამებს, პოლიციას უნდა მიმართოს, თვითონ-კი ნება არა აქვს აკრძალოს ამგვარი კრება. ამ შემთხვევაში-კი პროკურორს საბუთი არ ჰქონდა აეკრძალა ნაფიც ვექილების კრებაო.

◆ „ნ. ვრ.“-ს სიტყვით, სენატმა გაარჩია საყურადღებო საქმე ოსმალეთის ქვეშევრდომის საერობო ტეხნიკოსის აპოლონოვისა, რომელიც უჩიოდა უფის გუბერნატორს გენ. სოკოლოვსკის 350 მან. ზარალს, იმ გარემოებით გამოწვეულს, რომ გუბერნატორმა უკანონოდ ეტაპით გაჰგზავნა აპოლონოვი უფიდან ადესსაში.

საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ აპოლონოვს გუბერნატორის კანცელარიაში თხოვნა შეუტანია იმის შესახებ, რომ ვადა-შესრულებულ პასპორტის ნაცვლად ახალი პასპორტი მიეცათ მისთვის. რუსული პასპორტი აპოლონოვს ადესაში აელო და იქვე დაეტოვებია თავისი ოსმალური პასპორტი. პასპორტის განახლების მაგიერ, უფის გუბერნატორმა განკარგულება გახცა, დაეპატიმრებინათ აპოლონოვი და ეტაპით გაეგზავნათ ადესაში. მიზეზად ის იყო მოყვანილი, რომ მას არა აქვს ოსმალური პასპორტი. ადესიდან ოსმალეთის კონსულმა დეპეშით აცნობა უფის გუბერნატორს, ნუ ჰგზავნით აქ აპოლონოვს, მოუცადეთ იმის ნამდვილ პასპორტს, რომელსაც ამასთანავე გიგზავნითო. ამ დეპეშის მიუხედავად აპოლონოვი მაინც გაგზავნეს ადესსაში ეტაპით, ტუსაღებთან ერთად. ადესსაში ეს საბრალო კაცი რამდენიმე დღით დაამწყვდიეს სატუსაღოში და მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლეს, როცა უფიდან დაუბრუნეს ადესიდან გაგზავნილი პასპორტი.

საქმის განხილვის დროს აპოლონოვის დამცველმა სავსებით გამოარკვია უფის გუბერნატორის უკანონო საქციელი და სენატმა მომჩივანის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე.

◆ „ნაშ. ჟიზნ.“-მა გამოაქვეყნა ერთი საინტერესო დოკუმენტი: საადრესო ფურცელი, რომელიც ეძლევათ პეტერბურგში სახლების უფროს მეეზოვეთ. ამ ფურცელში სხვა-და-სხვა კითხვებია ჩამოთვლილი სახლის მდგმურების შესახებ და თვითეულ კითხვაზე პასუხი უნდა ჩასწეროს მეეზოვემ: მაგალითად—საიდან მოვიდა მდგმური, რა შეძლების კაცია: თუ ქონება არა აქვს, რანაირად შოულობს ფულს საცხოვრებლად, რა დამოკიდებულება აქვს სხვა მდგმურებთან, სად და რას სწავლობს, რანაირ ცხოვრებას მისდევს: სერიოზული, საქმის კაცია თუ უსაქმო და მოქეიფე, ვინა ჰყავს ნაცნობები, აქვს თუ არა რაიმე განსაკუთრებული, ეჭვის აღმძვრელი ჩვეულება და სხვა.

საკვირველიც არ არის, რომ მეეზოვეები იძულებულნი არიან ოთახში შეუვარდნენ მდგმურებს ზემოაღნიშნულ ცნობების შესაკრებადაო, ამბობს გაზეთი.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით პირველი გაფრთხილება გამოეცხადა და ცალკე ნომრების გაყიდვა აეკრძალა გაზ. „ნაში დნი“-ს მე-5 ნომერში დაბეჭდილ წერილებისათვის: „პეტერბურგი“ და „ექსპერიმენტის გაფართოვება.“

◆ „ნაშა ჟიზნ“-ში დაბეჭდილია პეტერბურგელ სტუდენტის ტროფიმოვსკის შემდეგი წერილი: „ერთ ავადმყოფ ნაცნობის სანახავად წაველით კალომენის ქუჩაზე. ღამის 11 საათზე გაიღო ავადმყოფის ოთახის კარები, შემოვიდა მეეზოვე ბოქაულის მონდობი[illegible] დაგვიწყო სტუმრებს თვლა, რა[illegible] გაეგო, დადგენილ რიცხვზე, ე. ი. „ხუთ კაცზე“, მეტი ვიყავით ოთახში თუ არაო“.

◆ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სესიამ ვიტებსკში, სენატორის მაქსიმოვიჩის თავმჯდომარეობით, 10 დეკემბერს გაარჩია ვიტებსკის სახალხო სკოლის მასწავლებლის ტემკინისა და 13 ხელოსანთა საქმე, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობის ჩადენა ბრალდებოდათ. დამნაშავეთ, ორს გარდა, ბრალდებოდათ 31 იანვარს ვიტებსკში მომხდარ კრებაზე მონაწილეობის მიღება, სადაც წაკითხულ იქმნა ებრაულ ენაზე ლონდონში გამოცემული წიგნაკი „სიონიზმი“. ტემკინს ბრალდება ამ წიგნაკას კითხვა, ზოგს შენახვა აკრძალული წიგნებისა, ზოგს-კი—ამ კრებისათვის ბინის დათმობა. სამი დამნაშავე სასამართლოში არ გამოცხადდა. 8 დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი გლინკა, სამს-კი სასამართლოსაგან დანიშნული ადგილობრივი ვექილები ციტოვიჩი და რაგნოვსკი. საქმე გაირჩა და სასამართლომ გამოაცხადა, რომ ახალი დამატებითი გამოძიება უნდა მოხდეს. გლინკას შუამდგომლობით, იმათ, რომლებიც ამ ათი თვის განმავლობაში დაპატიმრებულნი იყვნენ, შეღავათი მისცეს: ტემკინი 300 მან. სათავდებო გირაოს წარდგენის შემდეგ გაანთავისუფლეს საქმის გარჩევამდის, დანარჩენნი-კი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მისცეს.

რედაქციისაგან

ვისაც ჰსურს მომავალ წლის პირველ იანვრიდან გაზ. „ცნობის ფურცელი“ დაუყოვნებლივ მიუვიდეს, მათ უმორჩილესათა ვთხოვთ დააჩქარონ და დროზე დაიკვეთონ აღნიშნული გამოცემა, რათა ადრესები დროზე დამზადდეს.

ქუთაისის, ოზურგეთის, ჭიათურის და თელავის ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ ადგილობრივ რედაქციის აგენტებისაგან მიიღონ გაზეთის ნომრები, ვთხოვთ ხელის მოწერის დროს შეგვატყობინონ თავიანთი სურვილი.

ქუთაისში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ განყოფილება მოთავსებულია „კოლხიდა“-ში. ყოველივე ცნობისთვის ქუთაისლებმა იქ უნდა მიჰმართონ.

◆ „რუს“-ი გადმოგვცემს: იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ გამგეობას, 12 დეკემბერს უმაღლესად გამოცემულ ბრძანების ძალით, გადაუწყვეტია შეადგინოს პროექტი რეფორმების შესახებ, სასამართლოებში საქმეების წარმოების გასაუმჯობესებლად.

◆ მოსკოვის საგუბერნიო საკრებულომ გუბერნატორის პროტესტის გამო ხმის უმეტესობით გააუქმა მოსკოვის ქალაქის საბჭოს 30 ნოემბრის დადგენილება, რომელიც ეხებოდა რუსეთის ცხოვრების საზოგადო საკითხებს.

◆ ვარშავიდან იწერებიან „ნ. ვრ.“-ში, რომ ახლო-მახლო ადგილებიდან არა სასიამოვნო ამბავი ისმისო. შობის წინა დღეებში გამოაცხადეს მობილიზაცია, მაგრამ ყველას ეგონა, რომ შობამდის არავის გაიყვანდნენ და ჯარის კაცებ შეძლებას მისცემდნენ ასეთი დიდი დღესასწაული ოჯახში გაეტარებინათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და გამოიწვია არა-სასურველი ამბავი. რადომში შობის წინა დღეს, როცა შუაღამის ლოცვის შემდეგ ხალხი ეკლესიიდან გამოდიოდა, ღამის 1 საათზე მოჰკლეს მოგილევის მე-26 პოლკის უფროსი ბულატოვი. ბულატოვი ათვალიერებდა ქალაქში დარაჯთა რაზმს და ამ დროს ეკლესიიდან გამოსულ ხალხიდან ვიღაცამ ესროლა და მოახვედრა ტყვია. იქიდანვე იტყობინებიან, რომ დააზიანეს რკინის გზის ორი ხიდი, რადომსა და ედლონას შუა. ეს ხიდეები ააფეთქეს ვიღაცებმა და აგრეთვე გააფუჭეს რკინის გზის ლიანდაგიც სწორედ იმ დროს, როცა სამხედრო მატარებელს უნდა გაევლო. საბედნიეროდ, ეს შეამჩნიეს და მატარებელი თავის დროზე შეაჩერეს. ამ გვარსავე ამბებს იტყობინებიან კალიშის რკინის გზიდანაც. სადგურ სერამსა და ზდონსკაიას შორის მდინარე ნარევზე ააფეთქეს ხიდი.

წერილები

ფალადიდი. როცა ამიერ-კავკასიის რკინის გზა უცხოელ კერძო ამხანაგობას ეკუთვნოდა და იმის მმართველობის ქვეშ იყო, ფოთიდან სირიაჩქონამდის, მდინარე რიონს დამბა ჰქონდა გაკეთებული, რათა წყალი არ მოწოლიდა სამხრეთით და რკინის გზის ლიანდაგი არ გაეფუჭებინა. ამ დამბას ყოველ წლობით შეაკეთებდნენ ხოლმე, რასაც წლიურად სჭირდებოდა სამი-ოთხი ათასი მანეთი და ამრიგად რკინის გზის ლიანდაგიც უვნებელი იყო და—რაც ჩვენთვის უმთავრესია,—მკვიდრთაც დიდი შეღავათი ეძლეოდათ იმითი, რომ მდინარე რიონი ძველებურად ველარ ანადგურებდა აქაურობას და ჩვეულებრივის პენჭყოების ნაცვლად ერთხელვე გაკვალულს კალაპოტში მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც რკინის გზა ხაზინის ხელში გადავიდა, ფოთის ნაწილის რკინის გზის ლიანდაგსაც სხვა სახე დაედო. ინჟინრებმა იფილოსოფოსეს, ითათბირეს და იმ აზრს დაადგნენ, რომ რკინის გზის ლიანდაგი უნდა ავამაღლოთ და ამით რიონის სახიფათო მეზობლობისაგან უზრუნველვყოთ ამ გზის არსებობაო; ამასთანავე ერთხელ და სამუდამოდ გადავრჩეთ ამ მდინარის მეოხებით მოსალოდნელს შიშსა და უბედურებასაო.

ვინ ამბობს, აზრი კარგია, მაგრამ საქმე ისაა, რამდენად განხორციელდა ეს მოლოდინი და რამდენად სასარგებლოა როგორც თვით გზისა, ისე აქაურ მკვიდრთათვის. ლიანდაგი აამაღლეს, მაგრამ რიონს ამით თავისი მსვლელობა ვერ დააშლევინეს. დამბა გაფუჭდა, დაირღვა რიონი-კი რამდენჯერაც მოიმატებს, მოედება მთელს ფალადიდს. არც ლიანდაგის ქვეშ გასასვლელი სადმე აქვს, არც დამბა იჭერს, რომ აღარ გადმოუშვას. ეს ამოდენა მოდიდებული მდინარე გაიშლება ამოდენა მანძილზე და მთელი სოფელი მორევში სცურავს. როცა წყალი იკლებს, უნდა ნახოთ რა სურათს წარმოადგენს აქა-იქ დარჩენილი გუბეები, გადამწვანებული და ამყაყებული... ყველა ეს ნამდვილი საწამლავია ფალადიდისათვის, მაგრამ ვინ არის პატრონი.

აქეთ ისეთი მშვენიერი ამინდია, ადამიანს მაისი ეგონება. დღისით თბილა და ღამეც არა ჰყინავს ჩვეულებრივად. ქესატობა ამ დღესასწაულების მოახლოვების დროს უფრო დაეტყო ხალხს. ეს მით უფრო საგრძნობელი შეიქნა, რომ წელს, როგორც მოგეხსენებათ, ღორის სახსენებელი მთლად გააჩანაგა ჭირმა და თუ შორს მიაკვლიეს სადმე ღორის ხორცს, 4—5 მანეთ ნაკლებ არ იშოვება ფუთი. რაქნას უკან დაწეულმა სოფელმა.

ამ ჩვენს სადგურზე სამი დუქანია სამიკიტნო, მაგრამ ჯერ ვერაფერს იშოვი გასასყიდს და თუ იშოვე, მამასისხლადაა ყველაფერი. გირვანქა ხორცი ზოგჯერ აბაზად იყიდება.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 დეკემბერი

მარსელი, 27 დეკემბერი. გარდაიცვალა ანარხისტი ქალი ლუიზა მიშელი.

სტამბოლი, 29 დეკემბერი. („კორრ. ბიურო“). პორტამ გაუგზავნა თავის საელჩოებს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, საფუძველს მოკლებულია ბოლგარიის გაზეთების ცნობა, თითქო პორტა უარჰყოფდეს ოსმალეთ-ბოლგარიის ხელშეკრულობის ასრულებას.

მოსკოვი, 28 დეკემბერი. გაიხსნა რუსეთის დოსტაქართა მეხუთე კრება.

ბელოსტოკი. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თაოსნობით სიფხიზლის საზოგადოებამ გახსნა შრომის ბიურო. იხსნება იურიდიულ კონსულტაციის ბიურო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 28 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	93,95
ბერლინისაზე 100 მარკაში	$45,97^{1}/_{2}$
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	$37,62^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$6,7^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$89^{1}/_{2}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	419
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$322^{1}/_{2}$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	265
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	225

განცხადებანი

ნავთის მწარმოებელი ამხანაგობა

შხფა

იწვევს პაის პატრონთ საგანგებო საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება კვირას, 9 იანვარს, დილის ათ საათზე, ამხანაგობის კანტორაში, რომელიც ლერმონტოვის და ველიამინოვის ქუჩების კუთხეშია ხანქალამოვისას ხლში.

განსახილველი საგნები:

1. დამტკიცება პირობისა სამრეწველოს გაყიდვის და სარჯარო ადგილზე ამხანაგობის უფლების გადაცემის შესახებ.
2. განხილვა წინანდელი რწმუნებულის აზრისა კ. ი. პატისოვის საქმის შესახებ.

(3—1).

გამოვიდა ქართული წიგნების გამავრცელებელის
„კავშირის“
განმარტებითი წიგნაკი (კატალოგი),

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს წიგნების გავრცელებაში, დაეთმობა ჩვენის გაგზავნით 30% და თუ თითონ წაიღებენ—40% მიმართეთ „კავშირის“ მოთავეს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს (г. Тифлисъ, Туман. пер. 38). 30%-ის დაკლებითვე „კავშირის“ წიგნები გაიყიდება აგრეთვე მიხეილ ცაგარლის მაღაზიაში (წიგნების იარმუკაზე), ხოლო კვირაობით—40% დაკლებით.

(5—398—3)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

(30—10)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
აჯამეთის მამულში ისყიდება:

1) დარჩენილი ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,
2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა-და-სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariax Rupestris101¹⁴.
3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—13)

KAKAO
ВАНЪ-ГУТЕНА
საჭიროა ყველამ წესად დაიდოს
და ჩაის ან ყავის ნაცვლად საუზმის დროს დალიოთ მეტად გამაგრებელი
კაკაო „ვან-ჰუტენისა“
Фабриканты C. J. van Houten & Zoon. Weesp (Голландія).
Van Houten's
Н. Никольский

დაიბეჭდა და ისყიდება
კალენდარი „ცოდნა“
◆ თითო ღირს ორ შაურათ ◆
ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის, დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის
დიდი სურათი
დაიბეჭდა ფოტოტიპიით ხუფთად ბრისტოლის მთელს თაბახზე
◆ ღირს ათ შაურათ ◆
ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორი აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—35 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „Цодна“. **სოსიკო მერკვილაძე.** (12—11)

გამოვიდა გასასყიდად ახალი წიგნი
„ბრძოლა ჩვენს პრესსასა და საზოგადოებაში
შეპარულ შეცდომა—ნაკლულევანებებთან“,

თხზ. ტ. ართმელაძისა, საგულისხმო წერილებით, მაგ: ჩვენებური ჟურნალ-გაზეთობა და მათი სიყალბე; რა საშუალებას ხმარობენ ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები სიმართლის გამოსარკვევად? რა არის კრიტიკა და როგორ უნდა მოქმედებდეს იგი? ნოე ჟორდანიას წერილი ჩვენებური პრესსის შესახებ და ბ. ახალ-მოსულის კრიტიკა; რა სთქვა აკაკიმ ქუთაისის თ.-აზნ. კრებაზე და რანაირად გადაამახინჯა იგი ბ-ნმა მოსაუბრემ და სხვანი.,. 160 გვ. ფასი გაგზავნით 35 კაპ. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობა 30%. ადრესი: Въ тифлисъ, редакція „могзаури“. (5—409—1)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ბათუმის მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული დ. თაყაიშვილი, რომელიც ქალ. ბათუმში სცხოვრობს, აცხადებს, რომ 22 **თებერვალს** 1905 **წელს** დილის 10 ს., დასახელებულ მომრიგებელ განყოფილებასთან საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი მამული გარდაცვლილ დურსუნ-ბეკ აბაშიძისა. მამული მდებარეობს ბათუმის მე-4 ნაწილში და შესდგება ორის ადგილისაგან: 1. ზომით დაახლოვებით 213 ოთხკ. საჟ. შემდეგ საზღვრებში ალმ. ადგილი კადირ ეფენდი მუფტი ზადესი, დას.—ადგილი, რომლის ერთი ნაწილი ძმ. მარაგოვების ხელშია, მეორე—პიასეცკის ხელში, ჩრდ.—ნადეჟდინის ქუჩის შესახვევი და სამხ.—ადგილი ტუფან ბეკ შერვაშიძისა; 2. ზომით 788 ოთხკ. საჟ. შემდეგ საზღვრებში: ჩრდ.—ადგილი გათზაევისა, დას.—უსუფ აღა მამუდ აღაზადესი, ჩრდ.—ვარძელოვისა და სამხ.—ნადეჟდინის ქუჩის შესახვევი. ეს ადგილები იყიდება გლ. გიგო ბუჭუს ძის ბახტაძის დასაკმაყოფილებლად იმ აღმასრულებელ ფურცლის ძალით, რომელიც მიცემულია ტფილ. სამოსამართლო პალატის მიერ. 1903 წ. 21 მაისს № 9936-ით და შეადგენს 6618 მ. 70 კ. პროცენტებით. დასახელებული მამული დაგირავებული არ არის და დაფასებულია 1500 მანეთად; საჯარო ვაჭრობაც ამ თანხიდან დაიწყება. დაწვრილებითი აწერილობა მამულისა, აგრეთვე ქაღალდები და საბუთები მსურველს შეუძლიან გასინჯოს ბათუმის მომრიგებელ განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეებს გარდა. (1—1)

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 28. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ. ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში.
(100—99)

Доз. цен. Тифлисъ, 29 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.